



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92.92221865

თარიღი:05/07/2022

**საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიისათვის სატრენინგო სივრცის მოსაწყობად ფართის გადაცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“, „დ.დ“ , 122-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის, "მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669-ე დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტისა და "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 01 ივლისის Nგ-93.93221823-განკარგულების შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

**მუხლი1.**გადაეცეს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ლაგოდეხში, ზაქათლის ქუჩაზე მდებარე (საკადასტრო კოდი:N54.01.56.222) (ყოფილი N2 საშუალო სკოლა) პირველ სართულზე არსებული სართულის -48.36 კვ.მ, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სატრენინგო სივრცის მოსაწყობად.

*/საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მ/შემსრულებლის ა/წლის 04 ივლისის N06-922218523 მოხსენებითი ბარათი/.*

**მუხლი2.**ამ ბრძანების ფარგლებში, ხელშეკრულების სამართლებრივი ფორმის მომზადება დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურს, ხოლო ხელშეკრულების გაფორმება და მასზე კონტროლის განხორციელება - „ეკონომიკის სამსახურს“;

**მუხლი3.** ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;

**მუხლი4.**ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

